ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2014 წელი

1. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ააიპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი (იურ. მისამართი: ქ.თბილისი, ივ. მაჩაბლის ქ. №11. ს/ნ 404404211. ტელ: 2 72 22 72) აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1400 ლარს-დღგ-ს ჩათვლით.

1.2 დაფინანსების წყარო: ააიპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი

1.3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

1.4 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო თარიღი;

ც) კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნუკალური ნომერი.

ამ წესის მე-2მუხლით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

1.5 საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

1.6 საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2014 წლის 25 სექტემბრის 09:00 საათიდან 13:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №95ა.

1.7 საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

1.8 დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის საფასურის ქვითრის გარეშე), არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

1.9 საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

1.10ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და სსიპ ლევან სამხარაულის დასავლეთ საქართველოს სასამართლოს ექსერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შემდეგ, არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

1.11 ექსპერტიზის ხარჯებს გასწევს შემსყიდველი. აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის მიმწოდებელს განესაზღვრება ვადა არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღისა. მითითებული ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ანაზღაურების გარეშე.

კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

1.12 საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.

- გასაწევის მომსახურეობის სრული ტექნიკური აღწერა.
  - ინფორმაცია კონკურსანტის მიერ უკანსკნელი 3 წლის მანძილზე განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ.
  - ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
  - რეკვიზიტები.

1.13 კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიულიწინადადება არ განიხილება.

1.14 საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

1.15. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი - 0.5.
- ანალოგიური მომსახურების გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.5.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

1.16 გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

1.17წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8მგბ-ს.

1.18 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველთა ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მანაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.19 დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგ საკონტაქტო პირებს : დავით დუმბაძე. მობ: 595 033 444. ელ. ფოსტა: d.dumbadze@tbilisi2015.com; გიორგი ჭელიშვილი მობ: 551106506 ;
წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, ივ. მაჩაბლის ქ. 11 (ოლიმპიური კომიტეტის შენობა, მეოთხე სართული, კანცელარია).

2.ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

2.2 ქ.თბილისში, მ.კოსტავას ქ. #45-ში მდებარე მ.კეკელიძის სახელობის ვერის საკალათბურთო დარბაზის სუსტი დენების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2.3 პროექტირება უნდა მოხდეს არქიტექტურული ნაწილის გათვალისწინებით , სრულად და დეტალურად. სუსტ დენებში იგულისხმება:

1. სატელეფონო ქსელი
2. მონაცემთა გადაცემის (კომპიუტერული) ქსელი
3. სატელევიზიო ქსელი
4. სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო მაჩვენებლები
5. დაცვის სიგნალიზაცია
6. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა
7. ადმინისტრაციული ნაწილის გახმოვანების (შეტყობინების) სისტემა

2.4 საკონკურსო წინადადებების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

2.5 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი ახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

2.6 პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციედლება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 2014 წ.

ერთი მხრივ ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი თავჯდომარის ალექსი ახვლედიანის სახით და მეორეს მხრივ, ——————— —— (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი ——————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც შეასრულებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის დავალებით და შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ---- ---------- მომსახურების (შემდგომში „სამუშაოები“) განხორციელება;

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

5. მიწოდების ვადა

5.1. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 14 კალენდარული დღე.

5.2. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება და შესაბამისი ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან საქ-ექსპერტეზის დასკვნის საფუძველზე,

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, შემდგომ აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის მიმწოდებელს განესაზღვრება ვადა არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღისა. მითითებული ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ანაზღაურების გარეშე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დაარღვევს მომსახურების მიწოდების ვადას და

გაფრთხილებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში იგი არ გამოასწორებს ხარვეზს.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები;

6.4.3 სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ;

6.4.4. გამოასწოროს უხარისხოდ შესრულებული სამუშაო საკუთარი ხარჯით;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი. (სახელი გვარი პ/ნ)

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

8.2. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით ან ზეპირად მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში, რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს, ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

8.3. მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების დაყოვნების შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,2%-ის ოდენობით. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით.

8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს პირგასამტეხლოს თანხა დაუკავოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულებიდან.

8.6. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8.7. ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან, ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული შესასრულებელ სამუშაოს ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

11.1 დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად

მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის ———————— ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015- ს საორგანიზაციო კომიტეტი მის: ქ. თბილისი, ივ. მაჩაბელის ქ. 11 ს/კოდი 404404211 _____ თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანი	